# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N70

ქალაქ სტეფანწმინდა                                        16 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის ზაზა ქორიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე პაატა ქუმსიშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"–ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებიდან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. კარკუჩის რიტუალების სახლის სარემონტო სამუშაოები. დანაყოფის კოდი: 45400000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5799 (ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტი)ლარს დღგ-ს ჩათვლით

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში იძლევა გარანტიას, საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნებისმიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა #2) და ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შუალედური აქტის საფუძველზე თანდართული სამუშაოების შესრულების ვადა-გრაფიკის შესაბამისად 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

5.4. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ 20(ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში;

\ 5.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

6. მიღება– ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) (თანდართულ ნახაზებთან, ესკიზებთან და სპეციფიკაციებთან) .

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისია.

6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.სამუშაოს შესრულების ვადა

Created with
nitro PDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

7.1. მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და დაასრულებს 2015 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარკუჩა

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია : ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა გასაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ; გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება. დ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს: ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე; ბ) ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს; გ) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; ბ) სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 7.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადებში; გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შენიშვნების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და შეცვალოს უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე; დ) მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად; ე) სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანება, დეფექტი) გამოწვეულია მისი ბრალით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული ნებისმიერი გამოვლენილი წუნი თუ დეფექტი; ვ) მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით აღებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

Created with nitro PDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ვარგისიანობა .

9.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია.

9.3 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9.5 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.6 მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

9.7 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიის ნებისმიერ მომენტში მიმწოდებლის გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ შეესაბამება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია და დაზღვევა

10.1. ხელშეკრულების მოქმედება სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას.

11. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% - ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არცერთი გადახვევა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით 5 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის „ მე 20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

13.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ს.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რაც დადასტურდება შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების დარღვევად და შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ეს განხილულ იქნეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად.

13.6. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

Created with nitro PDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. შეტყობინება

15.1. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

15.2. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. სუბკონტრაქტორები

16.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით).

16.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ყველა სუბკონტრაქტორ(ებ)ის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

16.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში არც ერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, 3 (სამი) აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან, ხოლო 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

18.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 ოქტომბრის 11ჩათვლით.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | ინდ. მეწარმე პავლე ქეშაშვილი |
| მისამართი: | მისამართი: ყაზბეგი. დაბა სტეფანწმინდა |
| დ.სტეფანწმინდა ალ. ყაზბეგის ქ. 1 | ტელეფონის N598870202 |
| ს/კ 241499473 | ს/კ 44001000344 |
| | მომსახურე ბანკი: ლიბერთი ბანკი |
| | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| | A/A GE11 LB0112132981654000 |
| ხელმოწერა: | ხელმოწერა: |